

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ვაკანსიას თოქ-შოუ „რეალური სივრცე“ რეგიონალური კორესპონდენტების თანამდებობაზე.

თოქ-შოუ „რეალური სივრცე“ მიზნად ისახავს ყოველდღიურ ეთერში მოიცვას ქვეყნის რეგიონებისთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-სოციალური თემები. ამისთვის ის ქმნის ადგილობრივი ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებულ ქსელს, რომლებიც იქნებიან რეალური სივრცის მობილური რეპორტიორები. ისინი სისტემატურად და სწრაფად მოგვანვდიან მობილური ტელეფონით გადაღებულ ამბებს საქართველოს სოფლებიდან, ქალაქებიდან და დაბებიდან და მობილური თვე უზრუნველყოფენ ადგილობრივი რესპონდენტების ჩართვას პირდაპირ ეთერში.

### **სამუშაო პირობები**

**სამუშაოს ტიპი:** არასრული განაკვეთი

**გამოსაცდელი ვადა:** 1თვე

### **სამუშაოს აღწერა:**

- საკუთარ რეგიონში თემების მოძიება და დამუშავება;
- გადაცემის რედაქციისთვის თემის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდება;
- გადაღების დაგეგმვა, გადაღება და მასალის დროულად მოწოდება;
- საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტის პირდაპირ ეთერში ჩართვის დაგეგმვა და ტექნიკური უზრუნველყოფა, მობილური ტელეფონით, ფეისბუქის ან სკაიპის საშუალებით.

### **საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება სასურველია ჟურნალისტიკის მიმართულებით;
- ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპებისა და პროფესიული უნარების ფლობა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამებში მუშაობის ცოდნა, ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენების ცოდნა;
- მაუწყებლის შესახებ კანონით დადგენილი რეგულაციების და ნორმების ცოდნა.

### სამუშაო გამოცდილება:

- სასურველია მსგავს პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება
- სასურველია სატელევიზიო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება.

### ზოგადი უნარ-ჩვევები:

- აზროვნების სისხარტე
- კრიტიკული მოსაზრების მოსმენა-გაზიარების უნარი
- ყურადღება დეტალების მიმართ
- შემოქმედებითი აზროვნება
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- იმპროვიზაციის უნარი
- სამუშაოს დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

### შერჩევის ეტაპები:

- 1) აპლიკაციების გადარჩევა;
- 2) გასაუბრება;
- 3) საცდელი რეპორტაჟის მომზადება მობილური ტელეფონით გადაღებული მასალით.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე: <http://1tv.ge/projects/hiring/>. აპლიკაციის დამატებით ველში გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია:

- საცხოვრებელი რეგიონი
- რა გეოგრაფიული არეალის დაფარვა შეგიძლიათ საკუთარ რეგიონში (მიუთითეთ კონკრეტული მუნიციპალიტეტი, მიმდებარე ქალაქები და სოფლები)
- სამოტივაციო წერილი (აღწერეთ რატომ გინდათ იმაუწყებლოთ რეალურ სივრცეში თქვენი რეგიონიდან?)
- გამოგვიგზავნეთ თქვენი ჟურნალისტური ნამუშევრების ბმულები (თუ კი ასეთი გაქვთ)

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა 2016 წლის 25 ოქტომბერი.